

## გზა შენამდე

წვიმს. მე კი ისევ ისე, მხრებში მოხრილი, ხელში ხელჯოხით და შენზე ფიქრებით დატვირთული მოვყვები აღმართს. გზას, რომელიც შენამდე მოდის. ეს გზა ყველაზე რთული, ყველაზე გრძელია, ხოლო ყოველ ჯერზე უფროდაუფრო მიჭირს მისი გავლა. ირგვლივ არავინაა, წვიმის წვეთები მძიმედ მეცემა მოხრილ მხრებზე, უკვე ბოლომდე გაჟღენთილი, ძველი ალაგალა გაცრეცილი პალტო კიდევ უფრო მძიმდება და თანდათან მიჭირს ნაბიჯის გადადგმა. ლამის არის მუხლები მომეკვეთოს და აქვე შუა გზაში ჩავიკეცო. თუმცა არა, მე ხომ შენთან მოვდივარ. თვალწინ მიდგება შენი სახე, შენი ნათელი, მუდამ გაცისკროვნებული თვალები და მე უმაღლეს ვდგამ ნაბიჯს კიდევ უფრო გაიხლოვდები, ხოლო რაცუფრო გაიხლოვდები გზა მითუფრო რთული ხდება. მითუფრო მიმდის ყოველი ნაბიჯის გადადგმა. თითქოს რაღაც მეზრძვის, მეწინააღმდეგება, არუნდა შენამდე მოვიდე, არუნდა გნახო, გელაპარაკო.

არვიცი, უკვე ველარ ვგრძნობ წვიმის წვეთებს, სუსხს, რომელიც მთლიანად გზაა სახეში ნემსებივით მჩხვლეტს. ველარ ვგრძნობ ირგვლივ ვერაფერს, რადგანაც სხვა გრძნობა ფარავს ამ ყოველივეს, ყველაფერი უსიამოვნო, წყვილიაღში იძირება და ქრება. მეც სადღაც ვიკარგები, წამით ყველაფერი ბნელდება, მერე უეცარი ძლიერი შუქი ფანტავს უკუნს და ვგრძნობ თუ რა ძლიერ მიცემს გული. თვალწინ მიდგება შენი მუცლად ყოფის პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ ერთი მთლიანი ვიყავით. დრო, როდესაც ჯერ კიდევ ფიქრებში გეფერებოდი, ზუსტად ისე როგორც ახლა. ორსულობის სიმწიფესთან ერთად იმატებდა ყოველი შეგრძნებები და დღითიდღე იზრდებოდა მოლოდინი შენი ნახვისა.

და აი დღე, როდესაც ყველა გრძნობა ერთ შეგრძნებაში იყრის თავს, ფარავს სხვა დანარჩენს და იპყრობს მთელს სხეულს. ტკივილი... ტკივილი, შეუჩერებელი და ხანგძლივი ტკივილი... ამ დღეს დაიბადე შენ, რაოდენ მწარე იყო ტკივილები იმდენად ტკბილი იყო დასასრული. ვხედავ, როგორ გაწვეწვენ ჩემს მკერდზე, თოჯინასავით ნაჭერში გახვეულს, რომელიც შეუჩერებლად ტირის... გხვევ ხელს და მეშინია. მეშინია არაფერი გატკინო შენ ხომ ასეთი პატარა და უმწიფო ხარ. ვხედავ როგორ გაჭმევ ძუძუს, როგორ გკოცნი ფრთილად და ვგრძნობ შენი პატარა სხეულის უსაზღვრო მზურვალეობას. ვხედავ როგორ გიმღერი იავნანას.

ხო. ახლა როდესაც ძლიერ წვიმაში მოვყვები აღმართს, ნათლად ვხედავ და განვიცდი ყველაფერს, რასაც შენი დაბადებისას ვხედავდი და განვიცდიდი. გადის დრო და ვხედავ, როგორ იზრდები. მახსოვს შენი პირველი სიტყვა, მახსოვს შენი პირველი დაცემა, პირველი ცრემლი და პირველი სიცილი. ყველაფერი ეს საოცარი ემოციებით მავსებდა და მე ვიყავი ბედნიერი, რადგანაც შენ იყავი ნაყოფი მუცლისა ჩემისა, მე ჩემი და სისხლი ჩემი...

და აი ახლა, როდესაც სულ ცოტა მრჩება შენამდე, მინდა მივბრუნდე და უკან წავიდე, მინდა მივატოვო ეს გზა, ეს ქალაქი და ეს ქვეყანა. მინდა აღარასდროს მომიწიოს ამ გზის გავლა, მინდა სულ შენთან ვიყო და არ მჭირდებოდეს, წვიმაში, ქარში, მზეში თუ თოვლში სიარული შენამდე... მახსოვს, როგორ თამაშობდი, ხატავდი, წერდი, კითხულობდი. ვგრძნობდი რა დედობრივ სიამაყეს, ამასთან მიჩნდებოდა გრძნობა, რომ რაც უფრო იზრდებოდი, მით უფრო დამოუკიდებელი ხდებოდი. ნელ-ნელა ჩემში ისადგურებდა შიში, შიში შენი დაკარგვისა.

მახსოვს შენი პირველი თრობა, პირველი სიყვარული, პირველი ჩხუბიც კი, რომლიდანაც თვალჩაღურჯებული დაბრუნდი და არაფრით გამომიტყდი თუ რა მოხდა. სამაგიეროდ მეზობლებს არაფერი დაუმაღავთ. მახსოვს, როგორ გადაიკიდებდი მამისეულ თოფს მხარზე და მიდიოდი შორს, მუხლამდე თოვში მიიკვლევდი გზას. მახსოვს, როგორ ნანობდი შველს რომ ესროლე. თან ვაჟკაცურად ამაყი იყავი და თან ბავშვურად გულჩვილი. შეგეცოდა, მერე შენც გიკვირდა თუ როგორ გაიმეტე ესეთი ლამაზი არსება სასიკვდილოდ. თუმცა ადამიანები ხომ სწორედ იმას ვანადგურებთ რაც ასე ძალიან მოგვწონს და გვიზიდავს. მახსოვს, როგორ წამოვარდებოდი ხოლმე დილით მოვარდებოდი მაკოცებდი, მერე გარეთ გავარდებოდი და

საღამომდე თვალსაც ვერ მოგკრავდა კაცი. მერე მოხვიდოდი დაღლილ-დაქნცული და მაგრად მომეხვეოდი, გამილიმებდი და მეტყობდი: მაპატიე დედი რომ დავაგვიანეო... მახსოვს შენი ჯარში წასვლა, გიხაროდა, ამაყი იყავი უსაზღვროდ ამაყი. იცინოდი და მედლებით დაბრუნებას მპირდებოდი. მპირდებოდი, ჩამოვალ თუ არა ცოლს მოვიყვანო. მეხვეოდი, მკოცნიდი, მამშვიდებდი იმის მიუხედავად რომ ძალიან ვცდილობდი მღელვარება არდამტყობოდა. მახსოვს შენი თვალები, ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ. შენი თმა, შავი და ხვეული, გული გწყდებოდა ჯარში შემჭრიანო. მახსოვს შენი ხმა, თბილი და საოცრად ალერსიანი - ნუგეშინია დედილო მალე ჩამოვალ მალეო... მომამახე და წახვედი.

ახლა კი როცა უკვე მოვალწიე შენამდე, ისევ ვგრძნობ წვიმას, სუსხს და სიცივეს. სიცივეს, რომელიც შენი წასვლით არის გამოწვეული და ვერანაირი მზე ვერასოდეს გაათბობს. ვუახლოვდები გალავანს, ვაღებ ჭიშკარს და გხედავ შენ. შავი მარმარილოს ქვიდან შემომცქერის შენი გაყინული მზერა. უსიცოცხლო თვალები, სახის ნაკვეთები, რომლებსაც ქვის სიშავე შთანთქავს, ვუყურებ და მინდა გავერკვე რა საერთოა ამ სურათსა და შენს შორის. შენ ხომ ასეთი არასოდეს ყოფილხარ. მერე კი ვკითხულობ წარწერას: ცოტნეს თანამებრძოლებისგან...

მუხლებზე ვეცემი და სახეზე ჩამომავალ წვიმის წვეთებს ცრემლები ენაცვლება, მინდა მოვიდე მოგეფერო მაგრამ ძალა აღარ მაქვს. ყოველთვის ასეა, ყოველთვის როცა ამ აღმართს ამოვივლი ასე მემართება...